მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №46
2019 წლის 20 დეკემბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 თებერვლის №8 დადგენილებაში (matsne.gov.ge. 010260020.35.153.016478, 12/02/2019) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის“ **მე-5 მუხლის მერვე პუნქტის „ვ.მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„ვ.მ) ფიზიოთერაპია-რეაბილიტაცია (გარდა დღის ცენტრის ბენეფიციარების და ცერებრალური დამბლის მქონე პაციენტებისა – წელიწადში არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა); ".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ბაქრაძე**